ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №95/ბ

20 სექტემბერი 2016 წელი

ქ. მცხეთა

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ხატია მჭედლიშვილი”, შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2016 წლის 21 სექტემბერს სოფ. წილკანში ქართული ჭიდაობაში ღვთისმშობლობის დღესასწაულთან დაკავშირებით ღია ტურნირის მედლების, დიპლომების და მთავარი პრიზის ჭედილას შესყიდვა. (CPV18530000), (CPV03322100);

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1. საქონლის მიწოდების ვადაა არაუგვიანეს 2016 წლის 21 სექტემბერი.
2.2 მედლები -150 ლარი; დიპლომები- 30 ლარი. ჭედილა - 250 ლარი;
2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა - 430 ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 საქონლის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის და გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების [illegible] ანგარიშგებლობით დადგენილი წესით.

8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განყოფილება.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"

ი/მ „ხატია მჭედლიშვილი"
ს/კ 24001044420
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE33LB0112111045731000
მის: მცხეთა, აღმაშენებლის №93

ი.მ

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 236098824
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე